1) **თვითშეფასების ანგარიში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისთვის**

1. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, რომდესაც იცვლება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიკაცია არ იცვლება, და მხოლოდ ეროვნულ კვალაფიკაციათა ჩარჩოსთან მოვიდა შესაბამისობაში პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლის შედეგები 6 კომპონენტიდან 3 კომპონენტზე გადმოეწყო, აღნიშნული ანგარიშის მომზადების აუცილებელობა არ არსებობს. ასევე არ არსებობს ანგარიშის მომზადების აუცილებლობა, თუ მხოლოდ კვლაიფიკაციის კოდი შეიცვალა, კლასიფიკატორში განხორციელებული გადანაცვლების გამო და არ შეცვლილა კვალიფიკაციის დასახელება.
2. მე-4 გვერდზე მოცემული მე-2 ცხრილის ერთ-ერთ ნაწილს შეადგებს დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED-F-2013). აღნიშნულის დადგენა და ჩაწერა არ არის უსდ-ის მოვალეობა.
3. მე-6 გვერდზე მოცემული პირველი ცხრილის 5 რიგიდან, მხოლოდ მე-5 რიგში მოთხოვნილი ინფორმაცია არის საჭირო აღნიშნული ანგარიშის მიზნებისთვის. დანარჩები 4 რიგში მოცემული ინფორმაცია საჭიროა პროგრამის აკრედიტაციის პროცესში.
4. მე-7 გვერდზე მოცემული ცხრილი სასურველია დაემატოს ერთი რიგი და ცალკე იყოს მოთხოვნილი კონცენტაციების რაოდენობა და თითოეულ კონცემნტრაციაში შეთავაზებული კრედიტების რაოდენობა. სხვა შემთხვევაში, პირველ რიგში მოცემული ინფორმაცია დამაბნეველი იქნება, როდესაც პროგრმას რამდენიმე კონცენტრაცია ექნება.
5. მე-7 გვერდზე მოცემულ ცხრილის მეორე რიგი სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - ძირითადის სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები, მათ შორის კონცენტრაცია (არსებობის შემთხვევაში) - რადგან არ არის აუცილებელი რომ ძირითად სწავლის სფეროს ჰქონდეს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები.
6. როდესაც ცხრილში არის „კი“ და „არა“ მოსანიშნი, ბუნებრივია, რომ უსდ-ების უმრავლესობა „კი“-ს მოხაზავს და შესაბამისაც აღნიშნული ცხრილები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.
7. მე-9 გვერდზე მოცემული ცხრილებიდან ამოსაღებელია გრაფა „შემფასებელი“, რადგან შემფასებელი შეიძლება იყოს ერთზე მეტი და/ან შეიცვალოს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ცხრილი საერთოდ ამოსაღებია. ასევე ამოსაღებია პუნქტი 4.4. ამავე გვერდზე.
8. მე-10 გვერდზე მოცემული მე-5 ცხრილი და მე-12 გვერდზე მოცემული მე-7 ცხრილი ამოსაღებია, რადგან ეს ინფორმაცია ისედაც მოითხოვება აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამის კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაშიც იგივე იქნება.
9. ასევე სასურველია მე-11 გვერდზე მოცემული 6.2. ცხრილის ამოღება, რადგან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები ისედაც ერთვის ამ

ანგარიშს და ექსპერტის შესაფასებელია. გარდა ამისა, მოცემულ ცხრილში ნარატივის ჩაწერა იქნება რთული და მოუხერხებელი.

10. მე-12 გვერდზე 6.3. ცხრილში სასურველია მოთხოვნილი იყოს ინფორმაცია მხოლოდ იმ ლიტერატურასა და მემორანდუმებზე, რომელთა დამატებაც გახდა საჭირო საგანმანათლებელო პროგრამის ჩარჩოსა და კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.
11. ანგარიშის ყველა გვერდზე მოთხოვნილია ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ხელმოწერა. ანგარიშის მოზადებაში შეიძლება ბევრი ადამიანი იყოს ჩართული და ასევე, რამდენიმე ადამიანი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მის მომზადებაზე, შესაბამისად თითოეული მათგანის მიერ ყოველი გვერდის ხელმოწერა არ არის მიზანშეწონილი.

2) თვითშეფასების ანგარიში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის

1. მე-2 ცხრილის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED-F-2013). აღნიშნულის დადგენა და ჩაწერა არ არის უსდ-ის მოვალეობა.
2. ანგარიშის მე-5 და მე-6 გვერდებზე მოცემულ პირველივე ცხრილში ზედმეტი და არასაჭიროა 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 რიგები. სფეროს განვითარების ტენდენციების, კვალიფიკაციის თავისებურებების, საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკების აღწერა მიზანშეწონილია პროგრამის აკრედიტაციის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას და ზედმეტია შესაბამისობაში მოყვანის ანგარიშისთვის. ამასთან, 1-ლ რიგში მოთხოვნილი იფნორმაციია „აღწერა“ როგორ უნდა მოხდეს ბუნდოვანია. ამ ცხრილში სავსებით საკმარისი იქნება მე-5 რიგით მოთხოვნილი „დამატებითი ინფორმაცია“ და შესაბამისი მე-13 სქოლიოთი მოთხოვნილი აღწერის წარმოდგენა (როგორი ცვლილება განიცადა პროგრამამ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით).
3. ანგარიშის მე-7 გვერდზე ცხრილი „საკითხი“ პირველ რიგში სასურველია „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას“ დაემატოს „და შინაარსი“. შესაბამისად, ცხრილი ამოსაღებია ანგარიშის ფორმიდან.
4. ამავე და სხვა ცხრილებში, სადაც მითითებულია „კი“ და „არა“, სავარაუდოდ, „არა“ გულისხმობს ნეგატიურ გარემოებას და ამიტომ ჩნდება აღწერის საჭიროება? ხომ არ დაზუსტდეს, რომ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს აღწერა. თუმცა როგორც პირველი დოკუმენტის უკუკავშირში იყო აღნიშნული, უმრავლესობა „კი“ მონიშნავს და აღნიშნულ ცხრილებს აზრი ეკარგება.
5. მე-8 გვერდზე ამავე ცხრილის მე-3 რიგში ჩანაწერი „მაგისტრატურის გამოცდების გარდა“ დაშვების პირობებთან დაკავშირებით ბუნდოვანია. იგულისხმება საერთო სამაგისტრო გამოცდაც და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები ე.წ. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებიც? თუმცა ეს ნაწილიც ამოსაღებია, რადგან თუ არ შეესაბამება, მაშინ რატომ წარადგინა აღნიშნული პროგრმა უსდ-ს?
6. მე-8 გვერდზე სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ცხრილში „საკითხი“ მე-2 რიგში ჩანაწერი „დადგენილია...“ ბუნდოვანია. ნათელი არ არის, თუ ვის მიერ უნდა იყოს დადგენილი: დაწესებულების ხარისხმა შეამოწმა და დაადგინა რომ სწავლის შედეგები მართლაც კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონეს შეესაბამება? ამ

რიგში მარტივად ხომ არ უნდა ეწეროს რომ „შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის დონეს“

7. მე-8 გვერდზე ცხრილი „კომპონენტები“ საერთოდ ზედმეტია, რადგან ეს ცხრილი ისედაც უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამაში და აქ ზედმეტი ხომ არ არის?
8. მე-9, მე-10 და მე-11 გვერდზე მოთხოვნილი მე-5, მე-6 და მე-7, 4.4. პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია რამდენად აუცილებელია შესაბამისობაში მოყვანის თვითშეფასების ანგარიშში? სრულიად აუცილებელია აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებულ თვითშეფასების ანგარიშში არ არის აუცილებელი.

3) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში (ავტორიზაციის მიღებიდან 3 წლის ვადაში წარსადგენი)

1. დოკუმენტის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ აღნიშნულ თვითშეფასების ამგარიშში უსდ ასახავს ინფორმაციას სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესახებ. თუმცა თვითონ დოკუმენტში მხოლოდ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშია მოთხოვნილი.
2. პირველი ნაწილის ცხრილის მე-6 რიგში ამოსაღებია სიტყვა „მიუთითეთ“, რადგან ორჯერ მეორდება.
3. ამავე ცხრილში სასურველია „საერთაშორისოს“ ნაცვლად სიტყვა „უცხოელის“ გამოყენება.
4. ამავე ცხრილის მე-8 რიგში მოცემული ინფორმაცია სასურველია შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული - აკადემიური (მათ შორის აფილირებული, არააფილირებული) და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ ცალცალკე)
5. „ამავე ცხრილის მე-9 რიგში სასურველია მიეთითოს - სასწავლო და/ან სამეცნიერო
6. ამავე ცხრილში სასურველია დაემატოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის მობ. ტელეფონის ნომერი
7. ყველგან სადაც წერია რეკომენდაცია/რჩევა, რჩევა ამოსაღებია, რადგან რჩევის შესრულება არ არის აუცილებელი.
8. სასურველია სტანდარტის კომპონენტების ქვეშ მოცემული ორი გრაფის (მეორე და მესამე გრაფების) გაერთიანება და შემდეგნაირად ჩამოყალიბება: **რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება და დაწესებულების პროგრესი მოცემულ კომპონენტთან მიმართებით (არსებობის შემთხვევაში)**
9. მესამე ნაწილში ბუნდოვანია თუ რომელი სამწლიანი გეგმის (რომელი სამი წლის) აქტივობების შესრულებაზე უნდა წარმოადგინოს უსდ-მ ინფორმაცია, რადგან შესაძლებელია არ დაემთხვეს ავტორიზაციის შემდგომი 3 წელი, სამწლიანი სამოქმედო გეგმის წლებს და ინფორმაცია ამ აქტივობების შესრულება/არ შესრულებაზე არ იქნება რელევანტური. ამასთან, შესავალ ნაწილში (ზემოთ უკვე

ავღნიშნეთ) საუბარია სტრატეგიულ გეგმაზეც. სასურველია, ეს ნაწილი მთლიანად იქნება ამოღებული ფორმიდან.

10. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ცხრილის მესამე სვეტში წერია შემდეგი: მიუთითეთ დაწესებულებამ რეკომენდაცია შეასრულა და დაბლა არის შესრულების სამი დონე. გაუგებარია რომელ რეკომენდაციაზეა საუბარი.

4) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის დანართის განახლებული დოკუმენტის პროექტის შესახებ

ორივე დოკუმენტის განხილვის შემდგომ, უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, მათთვის მნიშვნელოვანი იყო *დოკუმენტების ამოღების მეთოდოლოგიისა და ამავდროულად ცალკეული დოკუმენტის ამოღების საფუძველი* (მაგ., საზოგადოებრივ გავნითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, რაც იმდენადაა მნიშვნელოვანი, რომ უნივერსიტეტი საბოლოოდ ქმნის პროდუქციას, რომელიც საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს.)
გამოითქვა ასევე მოსაზრება, რომ სასურველია განისაზღვროს რამდენი წლის გამოკითხვების (მაგ., სტუდენტთა, პერსონალის და ა.შ.) შედეგების ანალიზი და ანგარიში უნდა იყოს წარმოდგენილი დანართის სახით ძირითად დოკუმენტთან ერთად.
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა ცალსახად ჩამოაყალიბეს შეთავაზება ცენტრისადმი, რომ მთლიანად სრული პაკეტის სახით კი არ იქნას საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები წარდგენილი, არამედ საერთო ჩამონათვალის სახით, რომელსაც თან დაერთვება ყველა მნიშვნელოვანი პროგრამული რეკვიზიტი (საფეხური, სწავლების ენა, საკვალიფიკაციო კოდი, აკრედიტაციის ვადები, ხელმძღვანელი და მსგვ.). პროგრამული პაკეტის სრულ წარდგენას კი დაექვემდებაროს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ან ის პროგრამები, რომლებიც ძირეულ ცვლილებას განიცდის.
განხილვისას დაფიქსირდა, რომ დანართი *საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია* წარმოდგენილი დოკუმენტის სახით, არსებითად უნდა მოიცავდეს პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს, შესაბამისად, ხომ არ აჯობებდა ამ ორი დოკუმენტის ერთიანად წარდგენა.
განხილვაში მონაწილე პირები შეჯერდნენ კონკრეტული დოკუმენტის სათაურის კორექტირებულ ვერსიაზე. საქმე ეხება დანართს, რომელიც დანართების როგორც ძველ, ისე ახალ ჩამონათვალში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: *კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ [...] და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.* მსჯელობის შედეგად სასურველია წინამდებარე დანართის შემთხვევაში იკითხებოდეს: *კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები მათ კარიერულ [...] და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.*

კვლევასთან, განვითარებასთან ან/და სხვა შემომქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული დანართების ჯგუფში პირველივე გრაფაში იკითხება "*ანგარიში/ინფორმაცია უსდ-ის [...]*". წინამდებარე ჩანაწერი შედარდა ძველი ჩამონათვალის მასალებს, სადაც ვკითხულობთ "*ინფორმაცია უსდ-ის [...]*". დოკუმენტის განხილვის მონაწილე პირთა მოსაზრებით, სასურველია დარჩეს ჩანაწერი გამომდინარე

იქიდან, რომ ტექსტის სახეობა *ანგარიში მოცულობით არ უტოლდება ტექსტის სახეობას საინფორმაციო ტექსტი.* საინფორმაციო ტექტი წმინდად აღწერილობითი ინფორმაციის მატარებელი ტექსტია, განსხვავებით ანგარიშისგან, სადაც საკითხის აღწერის შემდეგ ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო ანალიზი და შედეგიც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დანართს ემატება მოთხოვნა *მიმდინარე და ან/ დაგეგმილი პროექტების მოკლე აღწერის ანგარიშის წარდგენის შესახებ.* ეს ნაწილი ერთგვარად მოდიფიკაციაა *ამავე ნაწილში ამოვარდნილი* დანართის, კერძოდ, რომლის მიხედვით დანართად უნდა წარდგენილიყო განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში, ესეც ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების მიხედვით. მსგავსი დოკუმენტის ასე დეტალურად წარმოდგენა გართულდება დიდი უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან, მით უფრო, თუ დანართს ექნება არა ინფორმაციის, არამედ ანგარიშის სახე. ამრიგად, უმჯობესია, თუ აუცილებელი მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნებოდა ორი დანართი, ერთი ინფორმაციული ტექსტის სახით, ხოლო მეორე უკვე საანგარიშო პერიოდში შესრულებული და მიმდინარე პროექტების მოკლე აღწერილობის სახით. ამგვარად ექსპერტებს სრული წარმოდგენა ექნებოდათ კვლევის უწყვეტ პროცესსა და თემატიკაზე უმაღლეს სასწავლებელში.

ამავე ნაწილში უსდ-ს სავალდებულად წარმოსადგენი აქვს *უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და [...] ინსიტუციის განვითარების სტრატეგია.* სხვადასხვა ჯგუფებში დოკუმენტის განხილვის შემდეგ დაისვა საკითხი, თავისთავად კვლევა უდავოდ არის საუნივერსიტეტო სტრატეგიის ერთ-ერთი არსებითი ქვაკუთხედი. უნივერსიტეტი წარმოადგენს მისიასთან ერთად სტრატეგიულ გეგმას, სადაც უდავოდ წინამდებარე თემატიკაც იქნება ასახული, მაშინ რამდენად საჭიროა კიდევ ერთი დამატებითი დანართის, *კვლევის სტრატეგიის* წარდგენა?

ავტორიზაციის დოკუმენტის დანართად მოთხოვნილ დოკუმენტთა ჩამონათვალში მითითებულია 2 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები. მოგეხსენებათ, რომ დაცული კვლევითი ნაშრომების ატვირთვა დაცვის შემედგომ ვალდებულებაა. შესაბამისად, წიანამდებარე მასალების გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამის ვებგვერდზე.

სამუშაო ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებულ დანართთა ჩამონათვალში სასურველია თუ არ დარჩებოდა დანართი *სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან.* ამ მოსაზრებას განხილვის მონაწილეები ამყარებდნენე იმ არგუმენტით, რომ სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები ანალიზის სახით დანართებში წარმოდგენილია, საიდანაც უნდა შეიმქნას კიდევ ერთი დანართი ამონარიდის სახით.